

ცვლილებები საგადასახადო კანონმდებლობაში

დაბეგვრის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასა და სხვა საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებთან დაახლოების მიზნით, 2020 წლის 14 ივლისს საქართველოს საგადასახადო კოდექსში შეტანილ იქნა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ცვლილებები შეეხო საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ დღგ-ის მარეგულირებელ ყველა დებულებას, რის გამოც შესაბამისი საკანონმდებლო ნორმები, კერძოდ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის „კარი VI“, სრულად ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, რომლითაც ახლებურად რეგულირდება დამატებული ღირებულების გადასახადის მომწესრიგებელი დებულებები. გარდა ამისა, საგადასახადო კოდექსის სხვა დებულებებმაც განიცადა არსებითი ცვლილება, რომელთა შორის აღსანიშნავია:

- საგადასახადო დავალიანების აღიარება, კოდექსით გათვალისწინებულ სხვა პირობებთან ერთად დასაშვები გახდა გადასახადის გადამხდელის მიერ საგადასახადო ორგანოში წერილობითი უარის წარდგენის გზით, რომლითაც მოხდება საგადასახადო მოთხოვნის გასაჩივრებაზე უარის თქმა;
- ძველ რედაქციაში არსებულ ოპერაციებთან ერთად ცვლილებების მიხედვით დამატებით განისაზღვრა ფინანსური მომსახურების/ოპერაციის სახედ დაზღვევის ან/და გადაზღვევის ოპერაციის განხორციელება, თანმდევი მომსახურებების ჩათვლით, რომელსაც სადაზღვევო ბროკერი ან/და სადაზღვევო აგენტი ახორციელებს;
- განისაზღვრა საერთაშორისო კომპანიაში დაქირავებით მიღებული შემოსავლის დაბეგვრა 5%-იანი განაკვეთით;
- „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებასთან

დაკავშირებით კოდექსს დაემატა ახალი შინაარსის ნორმა საინვესტიციო ფონდებთან დაკავშირებით;

- დამატებით განისაზღვრა იმ უწყებების ჩამონათვალი, რომელთაც უფლება აქვთ საგადასახადო ორგანოდან მიიღონ გადასახადის გადამხდელის შესახებ იდენტიფიცირებული ინფორმაცია;
- დაკონკრეტდა წინასწარი გადაწყვეტილების გაცემის სამართლებრივი საფუძვლები;
- პირად საგადასახადო მრჩეველთან ურთიერთობის საფუძვლები ნაცვლად ხელშეკრულებისა, განისაზღვრება ფინანსთა მინისტრის ნორმატიული აქტით;
- კოდექსს დაემატა ახალი მუხლი, რომელიც არეგულირებს სავარაუდო დარიცხვის განხორციელების და მისი გაუქმების სამართლებრივ საფუძვლებს;
- საშემოსავლო გადასახადის მიზნებისთვის განისაზღვრა, რომ აქტივის საკუთრებაში ფლობის ვადის განსაზღვრისთვის, მისი მიწოდების, მათ შორის რეალიზაციის მომენტად მიიჩნევა საკუთრების დამადასტურებელი იმ დოკუმენტის შედგენის თარიღი, რომლის საფუძველზედაც ხორციელდება მარეგისტრირებელ ორგანოში სხვა პირისთვის საკუთრების უფლების გადაცემის რეგისტრაცია. ხოლო, თუ არ ხდება საკუთრების უფლების მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაცია – საკუთრების უფლების გადაცემის მომენტი;

ცვლილებები დამატებული ღირებულების გადასახადის მარეგულირებელ დებულებებში

დღგ-ით დაბეგვრის ზოგადი პრინციპები - დღგ-ის მიზნისთვის განიმარტა დასაბეგრი პირის, ფიქსირებული დაწესებულების, დამხმარე, უშუალოდ დაკავშირებული, უწყვეტი, რეგულარული და ელექტრონულად გაწეული მომსახურებების, ვაუჩერის, მცირე ღირებულების საჩუქრის, დასაბეგრი დილერის, უძრავი ქონების, საბაზრო ფასის და სხვა არაერთი ტერმინის მნიშვნელობა. ცვლილების მიხედვით დასაბეგრ

ოპერაციად არ განიხილება საქონლის დროებით შემოტანა.

დასაბეგრი ოპერაციები - საქონლის მიწოდებად განიხილება მატერიალური ქონების განკარგვაზე მესაკუთრის უფლების გადაცემა. ცვლილების მიხედვით, საქონლის მიწოდებად ასევე განიხილება საქონლის ფაქტიური გადაცემა იჯარის/ლიზინგის ან სხვა მსგავსი ხელშეკრულებით, გამოსყიდვის პირობით. საქონლის უსასყიდლოდ მიწოდება მხოლოდ მაშინ განიხილება ანაზღაურების სანაცვლოდ საქონლის მიწოდებად თუ დღგ-ს გადამხდელს ამ საქონელზე ან მასზე გაწეულ ხარჯზე დღგ სრულად ან ნაწილობრივ აქვს ჩათვლილი. ცვლილების მიხედვით განისაზღვრა ვაუჩერის მეშვეობით განხორციელებული ოპერაციების დაბეგრის პრინციპები.

დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების ადგილი - ცვლილების მიხედვით ხდება მომსახურების გაწევის ადგილის დიფერენცირება იმის მიხედვით, მომსახურების მიმღები დასაბეგრი პირია თუ არა, კერძოდ თუ მომსახურების მიმღები დასაბეგრი პირია, მაშინ მომსახურების ადგილი განისაზღვრება მომსახურების მიმღების დაფუძნების ადგილის ან ფიფსირებული დაწესებულების ადგილსამყოფელის მიხედვით, ხოლო თუ მომსახურების გაწევა ხდება არადასაბეგრი პირის სასარგებლოდ, მომსახურების გაწევის ადგილია მომსახურების გამწევის დაფუძნების ადგილის ან ფიფსირებული დაწესებულების ადგილსამყოფელის მიხედვით.

აღნიშნული ზოგადი წესიდან დგინდება გამონაკლისები არადასაბეგრი პირისთვის გაწეულ ტელესაკომუნიკაციო მომსახურებაზე, სამაუწყებლო ან ელექტრონულ მომსახურებაზე, საქართველოს ფარგლებს გარეთ არადასაბეგრი პირისთვის გაწეულ მომსახურებაზე და სხვა.

დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების დრო - ცვლილების მიხედვით დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების დროის განსაზღვრისთვის დგინდება ზოგადი და სპეციალური წესები. ზოგადი წესის მიხედვით, დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების დროდ მიიჩნევა საქონლის მიწოდების ან მომსახურების გაწევის მომენტი. სპეციალური წესი დგინდება:

- ა) საქონლის ამ მომსახურების ღირებულების წინსწრებით ანაზღაურების შემთხვევაში;
- ბ) უწყვეტი და რეგულარული მომსახურების გაწევისას;
- გ) უძრავი ქონების მიწოდებისას და სხვა.

დასაბეგრი თანხა - დასაბეგრი ოპერაციის მიხედვით დასაბეგრი თანხას წარმოადგენს საქონლის მიწოდებასთან/მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით მომხმარებლიდან ან მესამე პირიდან მიღებული/მისაღები კომპენსაციის სრული თანხა, საქონლის/მომსახურების ფასთან პირდაპირ დაკავშირებული სუბსიდიის ჩათვლით. განისაზღვრა, რომ ლიზინგის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებელი დღგ-ით დასაბეგრი თანხაში არ შეიტანება. დაზუსტდა, შემთხვევების ჩამონათვალი, როდესაც ურთიერთამოკიდებულ პირებს შორის განხორციელებული ოპერაციის დღგ-ით დასაბეგრი თანხა განისაზღვრება საქონლის /მომსახურების საბაზრო ფასით.

სპეციალური წესები - დგინდება დღგ-ის პროპორციული ჩათვლის პრინციპები. კერძოდ, თუ საქონელს ან მომსახურებას დასაბეგრი პირი იყენებს, როგორც ოპერაციებისთვის რომელზეც აქვს დღგ-ის ჩათვლის მიღების უფლება, ისე ოპერაციებისთვის, რომელზეც ეს უფლება არ აქვს, ხორციელდება დღგ-ის თანხის მხოლოდ იმ ნაწილის ჩათვლა, რომელიც მიეკუთვნება ოპერაციებს რომელზეც მას აქვს დღგ-ის ჩათვლის მიღების უფლება.

დამატებული ღირებულების გადასახადთან დაკავშირებით მიღებული ცვლილებები, ამოქმედდება 2021 წლის 1 იანვრიდან. ცვლილებებთან დაკავშირებით დეტალური განმარტება შეგიძლიათ იხილოთ განმარტებით ბარათში¹.

ცვლილება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სისხლის სამართლის კოდექსებში

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში განხორციელებული ცვლილების თანახმად, საქართველოს ტერიტორიაზე ისეთი საავტომობილო ბენზინის ან/და დიზელის საწვავის იმპორტი, რომლის ხარისხიც არ აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ საავტომობილო ბენზინის ხარისხობრივ ნორმებს ან/და დიზელის საწვავის შემადგენლობის ნორმებს, გამოიწვევს სამართალდამრღვევი ფიზიკური ან იურიდიული პირის დაჯარიმებას 30 000 ლარით და იმპორტირებული შესაბამისი საწვავის საბაჟო ღირებულების 10-ზე ნამრავლის ტოლი თანხის

1 <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/250206?>

ოდენობით. საწვავის საბაჟო ღირებულების გამოთვლის მიზნებისთვის გაითვალისწინება საბაჟო დეკლარაციაში მითითებული საქონლის ფასი.

პასუხისმგებლობაა გათვალისწინებული ასევე საქართველოს ტერიტორიაზე ისეთი საავტომობილო ბენზინის ან/და დიზელის საწვავის წარმოებაზე, რომლის ხარისხიც არ აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ საავტომობილო ბენზინის ხარისხობრივ ნორმებს ან/და დიზელის საწვავის შემადგენლობის ნორმებს. ასეთი საწვავის წარმოების შემთხვევაში სამართალდამრღვევი ფიზიკური ან იურიდიული პირი დაჯარიმდება 30 000 ლარით და შესაბამისი წარმოებული საწვავის ფაქტობრივი მოცულობის (ლიტრის) თვითღირებულების 10-ზე ნამრავლის ტოლი თანხის ოდენობით. ამასთანავე საწვავის თვითღირებულება ცვლილების მიხედვით გულისხმობს თანხას, რომელიც საწვავის წარმოებისთვის დაიხარჯა.

ასევე საქართველოს ტერიტორიაზე ისეთი საავტომობილო ბენზინის ან/და დიზელის საწვავის მიწოდება, რომლის ხარისხიც არ აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ საავტომობილო ბენზინის ხარისხობრივ ნორმებს ან/და დიზელის საწვავის შემადგენლობის ნორმებს, გამოიწვევს სამართალდამრღვევი ფიზიკური ან იურიდიული პირის დაჯარიმებას 20 000 ლარით და შესაბამისი

საწვავის ავტოგასამართ სადგურში/ნავთობპროდუქტების საცავში მიწოდებისთვის განთავსებული/განკუთვნილი ფაქტობრივი მოცულობის (ლიტრის) მიწოდების ადგილზე არსებული მიწოდების ფასის 5-ზე ნამრავლის ტოლი თანხის ოდენობით. ცვლილების მიხედვით, საწვავის მიწოდების ადგილზე არსებული მიწოდების ფასი გულისხმობს ინსპექტირების პროცესში დაფიქსირებულ საწვავის სარეალიზაციო ფასს.

ზემოთ განხილული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის ადმინისტრაციულსახდელდადებული პირის მიერ, ან ამავე ქმედების ჩადენისთვის ნასამართლევ პირის მიერ იგივე ქმედების ჩადენა გამოიწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას. თუმცა გამოწვევისა დაშვებული იმ შემთხვევისთვის, როდესაც პირი, ნებაყოფლობით ჩააბარებს შესაბამის საწვავს, თუ მის ქმედებაში არ იქნება სხვა დანაშაულის ნიშნები. საწვავის ნებაყოფლობით ჩაბარებად ჩაითვლება მხოლოდ ისეთი ქმედება, როდესაც პირი გამოძიების დაწყებამდე წერილობით ან კომუნიკაციის ნებისმიერი ტექნიკური საშუალებით განაცხადებს აღნიშნული საგნის წარდგენის თაობაზე და აქტიური ქმედებით ხელს შეუწყობს მის ამოღებას.

Contact information

bakertilly
7 Bambis Rigi, 0105, Tbilisi.
(+995 32) 2438 999

office@bakertilly.ge
www.bakertilly.ge

This newsletter contains information about Legal, Tax and court practice latest updates. Every effort is made to provide accurate and complete information. However, Baker Tilly Georgia cannot guarantee that there will be no errors. These informational materials are not intended, and should not be taken, as legal or tax advice on any particular set of facts or circumstances. Please, contact our professionals for specific Tax or Legal issues.

Baker Tilly Georgia Ltd trading as Baker Tilly is a member of the global network of Baker Tilly International Ltd., the members of which are separate and independent legal entities.